ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3908460

ნომერი: AR1588608

თარიღი : 27.03.2018

გაცემის თარიღი : 12.04.2018

გაცნობის თარიღი : 12.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვირსალაძე (ყოფ. ინჟინრის), N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ანჯაფარიძე პ/ნ 01030028973
- თბილისი არსენას ქ. N 10/20

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2394996
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.01.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული

იქნა მოქ. გ. ანჯაფარიძის 2018 წლის 27 მარტის № AR1588608 განცხადება, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ვირსალაძის (ყოფ. ინჟინერის) ქ. N5-ში, სს "კორ სტანდარტ ბანკი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საოფისე შენობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 25 იანვრის №2394996 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), ვირსალაძის (ყოფ. ინჟინერის) ქ. N5-ში, სს "კორ სტანდარტ ბანკი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საოფისე შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2016 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ვირსალაძის (ყოფ. ინჟინერის) ქ. N5-ში სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2018 წლის 23 მარტს №ბ-19/0117360400-17 ბრძანებით სს "კორ სტანდარტ ბანკი"-ს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და განმარტებითი ბარათის განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62–ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

---

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.